ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1415748

ნომერი: AR1241132

თარიღი : 30.07.2014

გაცემის თარიღი : 05.08.2014

გაცნობის თარიღი : 05.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ბიბილაშვილი პ/ნ 18001015701
- თბილისი ბერბუკის ქ. N 10 ბ. 128

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2014 წლის 30 ივლისის #AR1241132 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ანა ბიბილაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზანიშვილის ქ. #29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.11.12.015.047) არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

წარმოდგენილ მიწისნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარებისგენერალური გეგმის

გრაფიკულინაწილის–რუკის, მიხედვითვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისადა განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცებისშესახებ" ქალაქ თბილისისსაკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4-13 გადაწყვეტილების თანახმად სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) წარმოადგენსსარეკრეაციო ზონას, რომელიცმდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიისსაზღვრებში და მოიცავს გამწვანებულტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონიდა სხვა) აღნიშნულზონაში დაუშვებელია ყოველგვარიმშენებლობა, გარდა: (25.11.2011 N 12-55)

ა) განათების;

ბ) სარწყავი სისტემის;

გ) სარეკლამო ბილბორდის;

დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის;

ე) კიბეების, გზების, ბილიკების.

საკადასტრო გეგმის მონაცემებით, სარეკონსტრუქციო შენობის ძირითადი ნაწილი განთავსებულია სატრანსპორტო და სარეკრეაციო ზონების მოქმედების არეალში, შესაბამისად წარმოადგენს უკვე შეუსაბამო შენობა–ნაგებობას, რომლის შეუსაბამობის ხარისხის გაზრდა ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების გათვალისწინებით კანონმდებლობით დაშვებული არ არის.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ანა ბიბილაშვილს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზანიშვილის ქ. #29-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.